განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს მთავრობის მიერ მომზადება და საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 38-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტი საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2023 წლის სექტემბრის ბოლოს. საპარლამენტო განხილვების დროს გამოთქმული წინადადებების ნაწილი აისახა საქართველოს პარლამენტის დასკვნაში და შესაბამისად მთავრობის მიერ მოხდა აღნიშნულ დასკვნაში არსებული შენიშვნებისა და წინადადებების გაანალიზება.

ამავდროულად, ბიუჯეტის პირველადი ვარიანტის წარდგენის შემდგომ დაზუსტდა 2024 წლის ფისკალური რესურსის მოცულობა და მისი ზრდის შესაძლო წყაროები.

განახლებული ფისკალური რესურსი აისახა 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში და გადანაწილდა როგორც პარლამენტის დასკვნაში წარმოდგენილ წინადადებებზე, ასევე სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზეც.

2024 წლის ბიუჯეტიც დაგეგმილია კონსერვატიული მიდგომით და გათვალისწინებულია შემდეგი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

- რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5,2%-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-ს შეადგენს;
- მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 3%-ს შეადგენს და იგივე მაჩვენებელი შენარჩუნებულია მომდევნო წლებშიც;

- საშუალო ინფლაციის პროგნოზი მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებშია და 2,8%-ს შეადგენს;
- ნომინალური მშპ-ის პროგნოზი განსაზღვრულია 86,0 მლრდ ლარის ოდენობით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი 8 500 დოლარს აჭარბებს. 2027 წლისთვის პროგნოზირებულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 108,8 მლრდ ლარამდე, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 10 800 დოლარს გადააჭარბებს;
- ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს მშპ-ს 2,5%-ს, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-ს 38,0%-ის ფარგლებშია.

ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით, 2024 წელს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განსაზღვრული იყო 21 942,3 მლნ ლარის ოდენობით, რაც იძლეოდა საშუალებას 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად განსაზღვრულიყო 27,5 მლრდ ლარის ფარგლებში.

ბიუჯეტის მეორე ვარიანტის წარმოდგენის შემდგომ დამატებით გაანალიზდა საფინანსო სექტორის მონაცემები და გადაანგარიშებულ იქნა მათ მიერ 2024 წელს ბიუჯეტში გადასახდელი მოგების გადასახადი. არსებული მონაცემების მიხედვით, საფინანსო სექტორის მიერ გადახდილი მოგების გადასახადის სავარაუდო მოცულობა მიაღწევს 900,0 მლნ ლარს, რაც 100,0 მლნ ლარით გადამუშავებულ ვარიანტში არსებულ გეგმიურ მაჩვენებელს. ასევე ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში მცირე, საგადასახადო შემოსავლების შესრულების გაანალიზების საფუძველზე მცირე კორექტირებებია საგადასახადო შემოსავლების სახეებში და ჯამურად საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი იზრდება 110,7 მლნ ლარით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიმდინარე წლის 24 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მოგების განკარგვის თაობაზე, კერძოდ, კომპანია 50,0 მლნ ლარს მიმართავს სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით, ხოლო 22,0 მილიონ ლარს მიმართავს რეგიონებში გაზიფიცირების სამუშაოების დასაფინანსებლად.

ჯამში საგადასახადო შემოსავლების განახლებული მაჩვენებლის და დივიდენდის ზრდის შედეგად ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება 160,0 მლნ ლარზე მეტით და ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მიაღწევს 28,7 მლრდ ლარს.

2024 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს:

- **სოციალური მიმართულებით**

  ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად სამინისტროს დაფინანსება დამატებით გაზრდილია 29,2 მლნ ლარით და ჯამში შეადგენს 7 829,2 მლნ ლარს. ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში გათვალისწინებული იყო:

  - 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსიის ზრდა 50 ლარით და განისაზღვრება 415 ლარის ოდენობით. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 500 ლარს გაუტოლდება;
  - 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 20 ლარით და განისაზღვრება 315 ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 380 ლარს გაუტოლდება;
  - გარდა პენსიისა, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 50 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 20 ლარით;
  - სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიებისთვის არსებული ზედა ზღვრის (560 ლარი) გადაანგარიშება 1 000 ლარამდე, ამავდროულად პოლიციელებსა და ჯარისკაცებზე, ნამსახურების თითო წელს განსაზღვრული თანხის საშუალოდ 28%-იან ზრდას. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზრდება იმ პირთა კომპენსაციები, რომლებიც იღებდნენ მაქსიმალურ ზღვარს, ხოლო სხვა პირთა კომპენსაცია გაიზრდება საშუალოდ 28%-ით;
  - საყოფაცხოვრებო სუბსიდიის 7 ლარიანი მოცულობა გაიზრდება 40 ლარამდე, 22 ლარიანი - 60 ლარამდე, ხოლო 44 ლარიანი - 80 ლარამდე;
  - გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივლისიდან 200 ლარამდე გაზრდილი ბავშვთა სოციალური დახმარების სრული წლის დაფინანსება;
  - დაიწყება ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მრავალშვილიანი უსახლკარო ოჯახებისთვის განხორციელდება საცხოვრებელი სახლების შესყიდვა;
  - ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილია 1,7 მილიარდი ლარზე მეტი, მათ შორის გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა. პენსიონერთათვის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება სრული წლის განმავლობაში.
  - დევნილთა სახლებით უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 230,0 მლნ ლარი.
  - ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში, გურიაში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულთა (ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლები არ ექვემდებარება აღდგენას) კომპენსაციებისთვის გამოყოფილია 15,0 მლნ ლარი.

  აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე მუნიციპალური ბიუჯეტებიდან გამოიყოფა 300,0 მლნ ლარზე მეტი.

- **განათლების მიმართულებით**

  განათლების და მეცნიერების მიმართულებით წარმოდგენილი ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში ცვლილებები არ განხორციელებულა. დაფინანსება ბიუჯეტის პირველად ვარიანტთან შედარებით, გადამუშავებულ ვარიანტში გაიზარდა 160,0 მლნ ლარით (ჯამურად იზრდება 580,0 მლნ ლარით), რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია:

  - საჯარო სკოლების მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდა - სრული დატვირთვის მასწავლებლების საშუალო ანაზღაურება გაიზრდება 500 ლარით;
  - საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის და მანდატურის ხელფასების 10%-იანი ზრდა;
  - საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 450,0 მლნ ლარამდე;
  - საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 225,0 მლნ ლარზე მეტი;

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100 ლარიანი ზრდა.

- **კულტურისა და სპორტის** დაფინანსებაზე ნაერთი ბიუჯეტიდან მიიმართება 840,0 მლნ ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია 472,0 მლნ ლარი.

- **თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით:**

  - თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება ამ ეტაპზე უცვლელია, თუმცა მიმდინარე წელთან შედარებით გაზრდილია 250,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასების 10%-იანი ზრდა;
  - თავდაცვის ინფრასტრუქტურასა და შესაძლებლობების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 330,0 მლნ ლარი;

- **ინფრასტრუქტურა**

  ჯამში, ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 6,7 მილიარდ ლარამდე, მათ შორის:
  - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიიმართება 1,7 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას მოხმარდება 1,2 მილიარდ ლარზე მეტი;
  - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებულია 2,1 მილიარდ ლარზე მეტი. აღნიშნული მიმართულებით ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით დამატებით გამოიყო 136,0 მლნ ლარი, მათ შორის დამატებით 130 მლნ ლარი გამოყოფილია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის და მისი მოცულობა შეადგენს 580,0 მლნ ლარს;
  - წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის გაუმჯობესებაზე მიიმართება 500,0 მლნ ლარამდე;
  - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე მიიმართება 800,0 მლნ ლარზე მეტი;
  - ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გათვალისწინებულია 170,0 მლნ ლარზე მეტი;
  - ენერგო ინფრასტრუქტურისთვის გათვალისწინებულია 120,0 მლნ ლარი.

- **მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის** მიზნით 2024 წელს გათვალისწინებულია 300,0 მლნ ლარზე მეტი.

- **სოფლის მეურნეობის** პროგრამების დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 580,0 მლნ ლარზე მეტი;

- **გარემოს დაცვის** პროგრამების დაფინანსებისთვის გამოყოფილია 180,0 მლნ ლარზე მეტი;

- **საჯარო მოხელეთა ანაზღაურება**
  2022 წელს საჯარო მოხელეთა ანაზღაურების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2024 წელს გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა ანაზღაურების 10%-იანი ზრდა.

ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

2024 წლის განახლებული პროგნოზით ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 22 053 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2024 წლის ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით 110,7 მლნ ლარით მეტია.

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 900,0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 6 345,0 მლნ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების წილი 555,0 მლნ ლარს. საშემოსავლო გადასახადის პროგნოზი ბიუჯეტის პირველად ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 14,7 მლნ ლარით;

- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 690,0 მლნ ლარით, რაც ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 107,0 მლნ ლარით. გაზრდილი თანხიდან 100,0 მლნ ლარი წარმოადგენს საფინანსო სექტორის მიერ 2024 წელს დამატებით გადასახდელ თანხას;

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 121,4 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 7 388,3 მლნ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტების წილი - 1 733,1 მლნ ლარს (უცვლელია ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით);

- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 375,0 მლნ ლარის ოდენობით (გაზრდილია 9,9 მლნ ლარით);

- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 150,0 მლნ ლარით (შემცირებულია 11,2 მლნ ლარით);

- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 650,0 მლნ ლარს (უცვლელია ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით);

- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 166,7 მლნ ლარით (შემცირებულია 9,6 მლნ ლარით).

ნაერთი ბიუჯეტის პრივატიზაციის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 350,0 მლნ ლარს, რაც 2023 წლის პროგნოზის იდენტურია.

საბიუჯეტო დეფიციტი და მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2024 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო, განისაზღვრება 2 177.0 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%);

- 2024 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 38.0%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების საორიენტაციო შეფასება (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 0.1%-ით – ჯამი: მშპ-ის 38.1% (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტს, მისი მოცულობა 2 187,0 მლნ ლარია და მშპ-ს 2,5%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** ჯამური მაჩვენებელი ბიუჯეტის პროექტის წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 166,6 მლნ ლარით და განისაზღვრება 24 569,5 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის:

- **შემოსავლები - 20 731,0 მლნ ლარი** (გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 161,6 მლნ ლარით);

  - **საგადასახადო შემოსავლები** შეადგენს 19 115,0 მლნ ლარს, რაც გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 106,6 მლნ ლარით. მათ შორის:

    - ✓ **საშემოსავლო გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 345,0 მლნ ლარით;
    - ✓ **მოგების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 690,0 მლნ ლარის ოდენობით;
    - ✓ **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 7 388,3 მლნ ლარს;
    - ✓ **აქციზის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 375,0 მლნ ლარის ოდენობით;
    - ✓ **იმპორტის** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 150,0 მლნ ლარს;
    - ✓ **სხვა გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 166,7 მლნ ლარის ოდენობით;

  - **სხვა შემოსავლების** პროგნოზი ბიუჯეტის პირველად ვარიანთან შედარებით დივიდენდის ხარჯზე გაიზარდა 50,0 მლნ ლარით და შეადგენს 1 350,0 მლნ ლარს;

  - **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებელი იზრდება 5,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 266,0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ საბიუჯეტო გრანტების ფარგლებში მისაღები შემოსავლები შეადგენს 100,0 მლნ ლარს.
- ✓ საინვესტიციო გრანტები შეადგენს 51,0 მლნ ლარამდე;
- ✓ სსიპ-ების მიერ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად გადმოსარიცხი თანხები შეადგენს 115.0 მლნ ლარს;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 200.0 მლნ ლარს (უცვლელია);

- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრა 300.0 მლნ ლარის ოდენობით (არ შეცვლილა პირველად ვარიანტთან შედარებით);

- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრები განისაზღვრა 3 338,5 მლნ ლარის ოდენობით მათ შორის:
  - ➢ საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მისაღები სახსრები შეადგენს 1 500.0 მლნ ლარს.
  - ➢ საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 1 388,5 მლნ ლარს (ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით იზრდება 5 მლნ ლარით)
  - ➢ საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი უცვლელია და შეადგენს 450,0 მლნ ლარს.

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 1 423,4 მლნ ლარის ოდენობით, შესაბამისად ვალდებულებების წმინდა ზრდა 1 915,1 მლნ ლარს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობა შეადგენს 25 030,4 მლნ ლარს, რაც ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 165,0 მლნ ლარით.

სამინისტროების მიხედვით გათვალისწინებულია:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 7 829,2 მლნ ლარით, რაც ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 29,2 მლნ ლარით. ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ **მოსახლეობის სოციალური დაცვა** - 5 635,6 მლნ ლარი, მათ შორის:
  - ○ საპენსიო უზრუნველყოფა - 3 930,0 მლნ ლარი.

    „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით **70 წლამდე პირთა პენსია** უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სექტემბერში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაცია შეადგენს 5,8%-ს. აღნიშნული მაჩვენებლით პენსიის ზრდა 20 ლარზე ნაკლებია (295*5,8%=17,1), რისი გათვალისწინებითაც კანონის შესაბამისად განსაზღვრულია პენსიის ზრდა 20 ლარის ოდენობით და 2024 წლის იანვრიდან განისაზღვრება 315 ლარით.
    ამავე კანონის მიხედვით, **70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის** პენსია უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციის და ბოლო 6 კვარტლის მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის 80%-ის ჯამით.

გასული წლის 4 კვარტალში და მიმდინარე წლის 2 კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მონაცემებია:

- ✓ 2022წ. I კვარტალი - 15,0%;
- ✓ 2022წ. II კვარტალი - 7,2%;
- ✓ 2022წ. III კვარტალი - 9,8%;
- ✓ 2022წ. IVკვარტალი - 9,7%
- ✓ 2023წ. I კვარტალი - 7,7%
- ✓ 2023წ. II კვარტალი - 7,5%;

აღნიშნული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული შეადგენს 9,5%-ს, ხოლო მისი 80% - 7,6%-ს. შესაბამისად პენსიის მოცულობა უნდა გაიზარდოს 5,8%+7,6%=13,4%-ით. აღნიშნული ფორმულით პენსიის ზრდა შეადგენს 48,9 ლარს (365*13,4%=48,9). კანონის შესაბამისად ხორციელდება აღნიშნული თანხის დამრგვალება და პენსიის ზრდა განსაზღვრულია 50 ლარით, რისი გათვალისწინებითაც მისი მოცულობა 2024 წლის იანვრიდან განისაზღვრება 415 ლარის ოდენობით.

მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის კანონით განსაზღვრული 20 პროცენტიანი დანამატების გათვალისწინებით, 70 წლამდე პირთა პენსია იქნება 378 ლარი, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთა პენსია 498 ლარი.

ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი ითვალისწინებს სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიებისთვის არსებული ზედა ზღვრის (560 ლარი) გადაანგარიშებას 1 000 ლარამდე. ამავდროულად პოლიციელებსა და ჯარისკაცებზე, ნამსახურების თითო წელს განსაზღვრული თანხის საშუალოდ 28%-იან ზრდას. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზრდება იმ პირთა კომპენსაციები, რომლებიც იღებდნენ მაქსიმალურ ზღვარს, ხოლო სხვა პირთა კომპენსაცია გაიზრდება საშუალოდ 28%-ით;

- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - 1 519,0 მლნ ლარი;

  აღნიშნული თანხის ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 50 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 20 ლარით. ასევე გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივლისიდან 200 ლარამდე გაზრდილი ბავშვთა სოციალური დახმარების სრული წლის დაფინანსება;

  გადამუშავებულ ვარიანტში გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მოცულობების ზრდა, კერძოდ 7 ლარიანი სუბსიდია იზრდება 40 ლარამდე, 22 ლარიანი - 60 ლარამდე, ხოლო 44 ლარიანი - 80 ლარამდე;

  გარდა ამისა, აღსანიშნავია ახალი პროგრამის დაწყება, რომლის ფარგლებში მრავალშვილიანი უსახლკარო ოჯახებისთვის დაიწყება საცხოვრებელი სახლების შესყიდვა, რისთვისაც გათვალისწინებულია 25,0 მლნ ლარი;

- სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში - 101,6 მლნ ლარი. პენსიის ზრდის შესაბამისად იზრდება საპენსიო დანამატის მოცულობაც;

- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დაფინანსება შეადგენს 76,4 მლნ ლარს (2023 წელთან შედარებით იზრდება 9,8 მლნ ლარით).

- ✓ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა** - 1 621,5 მლნ ლარი, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება შეადგენს 1 035,0 მლნ ლარს. პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება გაზრდილია 14,2 მლნ ლარით. აღნიშნული თანხით განხორციელდება „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტებზე დელეგირებული ფუნქციების დაფინანსება;

- ✓ **სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა** - 87,5 მლნ ლარი;

- ✓ **შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა** - 116,3 მლნ ლარი, მათ შორის, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია 102.7 მლნ ლარი;

- ✓ **იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა** - 260,5 მლნ ლარი. პროექტის გადამუშავებულ ვერსიასთან შედარებით პროგრამის დაფინანსება გაზრდილია 15,0 მლნ ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართება გურიაში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულთა (ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლები არ ექვემდებარება აღდგენას) კომპენსაციებისთვის;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 8,0 მლნ ლარით და შეადგენს 2 508,0 მლნ ლარს. აღნიშნული ზრდა დაკავშირებულია ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიმართულების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გადასვლით.

- ✓ სკოლამდელი და ზოგადი განათლება - 1 575,0 მლნ ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია საჯარო სკოლების მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდა. აღსანიშნავია, რომ სრული დატვირთვის მასწავლებლების საშუალო ანაზღაურება გაიზრდება 500 ლარით.
  ამავე პროგრამის ფარგლებში 70,0 მლნ ლარზე მეტი გათვალისწინებულია საჯარო სკოლების კომპიუტერული ტექნიკითა და ლაბორატორიებით აღჭურვისათვის, ხოლო 61,0 მლნ ლარამდე პირველკლასელი და წარჩინებული მოსწავლეების კომპიუტერებით უზრუნველსაყოფად;
- ✓ პროფესიული განათლება - 113,0 მლნ ლარი;
- ✓ უმაღლესი განათლება - 166,3 მლნ ლარი;
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 78,2 მლნ ლარი;
- ✓ ინკლუზიური განათლება - 56,2 მლნ ლარი;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 424,2 მლნ ლარი. მათ შორის:
  - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 333,0 მლნ ლარზე მეტი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულ ასიგნებებთან ერთად გამოყოფილია 469,0 მლნ ლარზე მეტი);
  - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 62,4 მლნ ლარი (მათ შორის, გათვალისწინებულია „პროფესიული განათლება I (KFW) პროგრამის და თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) ფარგლებში განსაზღვრული სახსრები);
  - უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 15,0 მლნ ლარი.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 472,0 მლნ ლარით, რაც ახალგაზრდობის ხელშეწყობის ფუნქციის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გადასვლიდან გამომდინარე მცირდება 8,0 მლნ ლარით. თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

- ✓ სახელოვნებო და სასპორტო სფეროში უმაღლესი განათლება -19,6 მლნ ლარი;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 45.0 მლნ ლარი;
- ✓ სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა - 7,8 მლნ ლარი;
- ✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 97,9 მლნ ლარი;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა - 45,2 მლნ ლარი;
- ✓ მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია - 195,1 მლნ ლარი;
- ✓ კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები - 51,4 მლნ ლარი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 3 400,7 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებულია 2 423,3 მლნ ლარი, გრანტებში 18,4 მლნ ლარი, ხოლო კრედიტების ნაწილში 959,0 მლნ ლარი. ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები** - 1 933,6 მლნ ლარი, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე გათვალისწინებულია 1 225,0 მლნ ლარი;
- ✓ **რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია** - 315,7 მლნ ლარი;
- ✓ **წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია** - 550,0 მლნ ლარი;
- ✓ **მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა** - 65,0 მლნ ლარი;
- ✓ **ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია** - 361,3 მლნ ლარი;
- ✓ **ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები** - 161,0 მლნ ლარი;
- ✓ **სხვა დანარჩენი პროგრამები** - 14,2 მლნ ლარი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 688.0 მლნ ლარს. გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით დაემატა ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს კომპონენტი) (KfW) პროექტი 3,0 მლნ ლარის ოდენობით.

გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა - 63,9 მლნ ლარი;
- ✓ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება - 53,8 მლნ ლარი.
- ✓ ერთიანი აგროპროექტი - 342,0 მლნ ლარი. მათ შორის:
    - ○ შეღავათიანი აგროკრედიტები - 200.0 მლნ ლარი;
    - ○ აგროდაზღვევა - 12.0 მლნ ლარი;
    - ○ დანერგე მომავალი - 26.0 მლნ ლარი;

- გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი - 17,0 მლნ ლარი;
- აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა - 19,5 მლნ ლარი;

✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - 78,8 მლნ ლარი;
✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობა - 29.0 მლნ ლარი;
✓ დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 23,2 მლნ ლარამდე (გაზრდილია 3,0 მლნ ლარით);
✓ სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 24,7 მლნ ლარამდე;
✓ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა - 5,0 მლნ ლარამდე.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებულია 801,0 მლნ ლარი, რაც გადამუშავებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 5,0 მლნ ლარით. დამატებით გამოყოფილი თანხა მოხმარდება შავ ზღვაში ელექტროგადამცემი კაბელის მშენებლობისთვის საჭირო კვლევით სამუშაოებს. სამინისტროში თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

✓ მეწარმეობის განვითარება - 304,9 მლნ ლარი;
✓ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 33,5 მლნ ლარი;
✓ საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება - 77,7 მლნ ლარი;
✓ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და კვლევითი სამუშაოები - 125,0 მლნ ლარი;
✓ 50,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია ანაკლიის პორტისთვის საჭირო წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის;
✓ აეროპორტების ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილია 67,0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება ქუთაისის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობა, ასევე განხორციელდება თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ნაწილობრივ დაფინანსება;
✓ შიდა ფრენების სუბსიდირებაზე გათვალისწინებულია 12,0 მლნ ლარი, ხოლო სარკინიგზო-სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდირებისთვის - 8,0 მლნ ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 114,0 მლნ ლარს;

იუსტიციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 414,7 მლნ ლარი;

საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 187,5 მლნ ლარი;

თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 380,0 მლნ ლარი. გამოყოფილი თანხის ფარგლებში თავდაცვის ინფრასტრუქტურისა და მისი შესაძლებლობების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 330,0 მლნ ლარი;

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ასიგნებები განისაზღვრება 1 260,0 მლნ ლარის ოდენობით. მომდევნო წელს დაგეგმილია სახანძრო/სამაშველო სამსახურისთვის სახანძრო მანქანებისა და სამაშველო ტექნიკის შესყიდვა;

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 210,0 მლნ ლარი;

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გათვალისწინებულია 102,0 მლნ ლარი;

ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისთვის გათვალისწინებულია 19,0 მლნ ლარი (გაზრდილია 500 ათასი ლარით);

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დაფინანსება შეადგენს 4,8 მლნ ლარს;

საქართველოს პროკურატურისთვის გათვალისწინებულია 63,2 მლნ ლარი;

სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის გათვალისწინებულია 18,0 მლნ ლარი;

სასამართლო სისტემისთვის გათვალისწინებულია ჯამში 171,7 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ საკონსტიტუციო სასამართლო - 6,2 მლნ ლარი;
- ✓ უზენაესი სასამართლო - 17,4 მლნ ლარი;
- ✓ საერთო სასამართლოები - 137,5 მლნ ლარი;
- ✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭო - 10,6 მლნ ლარი;

იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 12,5 მლნ ლარი (დაფინანსება გაზრდილია 1,5 მლნ ლარით);

სახალხო დამცველის აპარატისთვის გათვალისწინებულია 11,5 მლნ ლარი (დაფინანსება გაზრდილია 1,0 მლნ ლარით);

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 8,0 მლნ ლარი (გაზრდილია 1,0 მლნ ლარით);

საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციების დაფინანსება შეადგენს 86,6 მლნ ლარამდე;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 23,3 მლნ ლარი;

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება შეადგენს 171,2 მლნ ლარს;

მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება შეადგენს 27,0 მლნ ლარს;

პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გათვალისწინებულია 9,6 მლნ ლარი;

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაფინანსება შეადგენს 5,3 მლნ ლარს;

სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების დაფინანსება ჯამში შეადგენს 11,0 მლნ ლარს (გაზრდილია 70,0 ათასი ლარით).

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით დარეგულირდა ყოველწლიურად კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების წესი. კერძოდ, კანონის შესაბამისად 2023 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე საბიუჯეტო წლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში საბაზო თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება, როგორც საქართველოს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგო, გაზრდილი არანაკლებ ბოლო 4 კვარტალში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში „დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საკუთრების ფორმების მიხედვით“ არასახელმწიფო სექტორში დაფიქსირებული ნომინალური ხელფასის წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის საშუალო პროცენტული მაჩვენებლის ნახევრით.

სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების შესაბამისად, ბოლო 4 კვარტალში არასახელმწიფო სექტორში საშუალო ხელფასის ზრდა შეადგენს 17,9%-ს, რისი გათვალისწინებითაც კანონით განსაზღვრული ზრდის მინიმალური ოდენობა შეადგენს 8,95%-ს.

ამავდროულად კანონით განსაზღვრულია, რომ 2026 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი არ უნდა იყოს არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის 80%-ზე ნაკლები. აღნიშნული თანაფარდობის საშუალო მაჩვენებელი ბოლო 4 კვარტალში შეადგენს 72,4%-ს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2024 წლის პროექტით საბაზო თანამდებობრივი სარგო 2023 წელთან შედარებით იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1 330 ლარის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდას ასევე 10%-ის ოდენობით.

ამასთან, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში ასახულია სამინისტროების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების კავშირები პოლიტიკის კლასიფიკატორთან (გენდერული თანასწორობა, კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები - SDG, ადამიანური კაპიტალის პროგრამა და სხვა). 2023 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა პილოტ სამინისტროებთან კლიმატის ცვლილებასთან ბიუჯეტის პროგრამების დაკავშირების მიმართულებით ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ასევე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა საპილოტე სამინისტროებთან გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული პროგრამების იდენტიფიცირების მიზნით. **ამ მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი შედეგების მისაღწევად.**

მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების მოცულობა

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის გეგმა**	**2024 წლის პროექტი**
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	65 390.8	77 460.0	86 636.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	8 900.4	9 315.0	9 600.0
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	649.7	775.0	850.0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	50 887.5	24 000.0	27 000.0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	17 909.5	21 299.9	23 290.7
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	33 938.7	77 212.5	171 219.0
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4 559.4	5 800.0	6 200.0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	14 186.3	16 100.0	17 400.0
09 00	საერთო სასამართლოები	88 384.4	117 000.0	137 500.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	4 597.3	7 900.0	10 560.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	995.3	1 303.0	1 380.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	819.9	1 060.0	1 120.0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	934.6	1 250.0	1 400.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	936.1	1 162.0	1 190.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	832.7	1 060.0	1 120.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	829.8	1 072.0	1 160.0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	820.5	1 002.0	1 080.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს,	1 168.3	1 348.0	1 450.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
	მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში			
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	784.0	1 038.0	1 100.0
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	152 859.1	180 000.0	210 000.0
21 00	საქართველოს პროკურატურა	49 071.2	56 530.0	63 200.0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3 302.7	3 700.0	4 000.0
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	102 102.0	106 000.0	114 000.0
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	1 270 227.1	581 180.0	801 000.0
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3 080 396.4	3 350 920.0	3 400 700.0
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	340 721.9	392 831.0	414 685.0
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	6 362 096.0	7 108 420.0	7 829 150.0
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	177 974.1	186 000.0	187 500.0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1 089 355.3	1 270 000.0	1 380 000.0
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	967 163.9	1 146 000.0	1 260 000.0
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	760 420.3	698 580.0	688 000.0
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	1 702 688.6	2 083 686.7	2 508 044.0
33 00	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	470 887.1	459 326.0	471 956.0
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	15 400.0	18 000.0	21 000.0
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	2 327.9	1 750.0	1 900.0
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	8 078.1	10 400.0	12 500.0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	9 479.8	15 000.0	19 000.0
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2 097.1	4 300.0	4 000.0
39 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	0.0	5 500.0	8 000.0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	72 124.1	82 800.0	102 000.0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	7 899.0	11 775.0	11 500.0
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	82 307.2	101 190.0	101 190.0
43 00	სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო	3 161.8	5 000.0	5 500.0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2 627.5	2 830.0	3 300.0
45 00	საქართველოს საპატრიარქო	24 997.3	25 000.0	25 000.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	11 299.3	13 000.0	15 000.0
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	13 412.3	20 900.0	24 000.0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4 084.4	4 735.0	5 260.0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1 698.4	1 930.0	2 180.0
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	6 373.8	6 450.0	6 500.0
51 00	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	10 964.5	17 000.0	18 000.0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	536.1	1 000.0	1 100.0
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	240.8	500.0	600.0
54 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	2 790.7	3 750.0	4 800.0
55 00	სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო	0.0	0.0	8 500.0

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მთლიანი მოცულობა გაზრდილია 130.9 მლნ ლარით და შეადგენს 4 796.1 მლნ ლარს, მათ შორის:

- ✓ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 2 125.0 მლნ ლარი;
- ✓ საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 830,0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი - 90.0 მლნ ლარი (გაზრდილია 10,0 მლნ ლარით);
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 20.0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 580.0 მლნ ლარი (გაზრდილია 130,0 მლნ ლარით);
- ✓ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი - 20.0 მლნ ლარი;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება - 430.0 მლნ ლარი;
- ✓ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა - 20.0 მლნ ლარი;
- ✓ დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელებისთვის გათვალისწინებულია 112,0 მლნ ლარი (გაზრდილია 6,0 მლნ ლარით);
- ✓ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები შემცირებულია 14,2 მლნ ლარით და შეადგენს 555,9 მლნ ლარს. მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სპეციალური ტრანსფერი განსაზღვრულია 500,0 მლნ ლარის ოდენობით.

  აღსანიშნავია, რომ საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელების ფარგლებში 14,2 მლნ ლარით შემცირებულია მიზნობრივი ტრანსფერი, ვინაიდან „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილებისთვის გამოსაყოფი თანხები გადავიდა ჯანდაცვის სამინისტროს ასიგნებებში (დელეგირების განმახორციელებელ უწყებაში) და სამინისტრო უზრუნველყოფს აღნიშნული თანხების გადარიცხვას მუნიციპალიტეტებზე. აღნიშნული ტრანსფერების სავარაუდო მოცულობა მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგია:

მუნიციპალიტეტის დასახელება	**„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსაყოფი თანხის საპროგნოზო მოცულობა (ათასი ლარი)**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	444,4
ახმეტის მუნიციპალიტეტი	274,7
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	269,4
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	181,6
თელავის მუნიციპალიტეტი	270,1
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	271,0
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	271,4
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	270,6
ყვარლის მუნიციპალიტეტი	269,9
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	312,4
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	270,0
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	175,7
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	269,0
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	176,7
ვანის მუნიციპალიტეტი	176,0
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	269,6
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	268,0
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	269,5
საჩხერის მუნიციპალიტეტი	269,8
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	178,4
ხონის მუნიციპალიტეტი	175,6
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	267,2

მუნიციპალიტეტის დასახელება	„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსაყოფი თანხის საპროგნოზო მოცულობა (ათასი ლარი)
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	315,6
აბაშის მუნიციპალიტეტი	175,3
მარტვილის მუნიციპალიტეტი	270,9
მესტიის მუნიციპალიტეტი	187,3
სენაკის მუნიციპალიტეტი	269,9
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	176,1
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	270,3
ხობის მუნიციპალიტეტი	270,4
გორის მუნიციპალიტეტი	318,9
კასპის მუნიციპალიტეტი	270,7
ქარელის მუნიციპალიტეტი	270,4
ხაშურის მუნიციპალიტეტი	270,1
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	312,4
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	269,3
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	316,8
დმანისის მუნიციპალიტეტი	179,2
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	179,1
მარნეულის მუნიციპალიტეტი	316,3
წალკის მუნიციპალიტეტი	177,4
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	270,0
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	315,6
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	178,1
ადიგენის მუნიციპალიტეტი	178,1
ასპინძის მუნიციპალიტეტი	176,7
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	272,0
ახალციხის მუნიციპალიტეტი	269,8
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	270,4
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	178,2
დუშეთის მუნიციპალიტეტი	281,2
თიანეთის მუნიციპალიტეტი	178,4
მცხეთის მუნიციპალიტეტი	270,3
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	177,5
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	179,0
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	179,6
ონის მუნიციპალიტეტი	179,7
ცაგერის მუნიციპალიტეტი	177,9
სულ	**14 150,0**

მუნიციპალიტეტების მიერ დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლები პროგნოზირებულია 1 733,1 მლნ ლარის (ჯამური დღგ-ის 19%) ოდენობით და ნაწილდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) პროგნოზის განაწილების შედეგად მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები შემოსავლების განაწილება:

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	37,14%	643 661,8
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	3,59%	62 217,2
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1,68%	29 115,6
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1,15%	19 930,3
ქედის მუნიციპალიტეტი	0,94%	16 290,8
შუახევის მუნიციპალიტეტი	0,37%	6 412,4
ხულოს მუნიციპალიტეტი	0,39%	6 759,0
ახმეტის მუნიციპალიტეტი	1,10%	19 063,8
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	1,35%	23 396,4
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	0,37%	6 412,4
თელავის მუნიციპალიტეტი	1,42%	24 609,6
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	1,04%	18 023,9
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1,41%	24 436,3
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0,68%	11 784,9
ყვარლის მუნიციპალიტეტი	0,74%	12 824,7
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	3,48%	60 310,8
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	1,16%	20 103,6
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	0,52%	9 012,0
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1,34%	23 223,1
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	0,56%	9 705,2
ვანის მუნიციპალიტეტი	0,58%	10 051,8
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1,34%	23 223,1
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	0,81%	14 037,9
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	1,11%	19 237,1
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1,20%	20 796,8
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	0,54%	9 358,6
ხონის მუნიციპალიტეტი	0,56%	9 705,2
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	0,62%	10 745,0
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2,42%	41 940,3
აბაშის მუნიციპალიტეტი	0,51%	8 838,7
მარტვილის მუნიციპალიტეტი	0,81%	14 037,9
მესტიის მუნიციპალიტეტი	0,60%	10 398,4
სენაკის მუნიციპალიტეტი	0,92%	15 944,2
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	0,55%	9 531,9
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	0,63%	10 918,3
ხობის მუნიციპალიტეტი	0,59%	10 225,1
გორის მუნიციპალიტეტი	3,45%	59 790,9
კასპის მუნიციპალიტეტი	1,04%	18 023,9
ქარელის მუნიციპალიტეტი	1,05%	18 197,2
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1,32%	22 876,5
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	2,98%	51 645,5
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	0,37%	6 412,4
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	0,37%	6 412,4
დმანისის მუნიციპალიტეტი	0,90%	15 597,6
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	0,79%	13 691,2
მარნეულის მუნიციპალიტეტი	2,10%	36 394,4
წალკის მუნიციპალიტეტი	0,37%	6 412,4
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	0,74%	12 824,7
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1,45%	25 129,5
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	0,53%	9 185,3
ადიგენის მუნიციპალიტეტი	0,78%	13 517,9
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0,37%	6 412,4
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0,37%	6 412,4
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1,34%	23 223,1
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0,37%	6 412,4

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0,51%	8 838,7
დუშეთის მუნიციპალიტეტი	0,86%	14 904,4
თიანეთის მუნიციპალიტეტი	0,57%	9 878,5
მცხეთის მუნიციპალიტეტი	0,74%	12 824,7
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0,34%	5 892,4
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	0,65%	11 264,9
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	0,39%	6 759,0
ონის მუნიციპალიტეტი	0,45%	7 798,8
ცაგერის მუნიციპალიტეტი	0,58%	10 051,8
სულ ჯამი	**100,00%**	**1 733 069,0**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 3 618,4 მლნ ლარი;*
- *თავდაცვა - 1 463,9 მლნ ლარი;*
- *საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 2 113,4 მლნ ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 3 809,3 მლნ ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 189,4 მლნ ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 453,4 მლნ ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 1 771,0 მლნ ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია - 514,3 მლნ ლარი;*
- *განათლება - 2 927,2 მლნ ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 6 441,2 მლნ ლარი.*

ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტს თან ახლავს ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის დასკვნაში ასახული წინადადებების გათვალისწინების შესახებ.

გარდა ამისა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს თან ახლავს:

- 2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი;
- 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (საბაზისო, ოპტიმისტური, და პესიმისტური სცენარები);
- მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი;
- პროგრამული ბიუჯეტის დანართი;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- ცენტრალური ბიუჯეტის დანართი;
- ფისკალური რისკების ანალიზი;
- ვალის მდგრადობის ანალიზი;
- მთავრობის ვალის შესახებ ინფორმაცია;
- საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიში;
- საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფისკალურ წესებთან შესაბამისობა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამას და „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია”-ს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია 2024 წლის 1 იანვრიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონის პროექტი ვრცელდება 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ბენეფიციარებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ბ²) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი აერთიანებს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და მხარჯავი დაწესებულებების (მათ შორის, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების) მიერ დაგეგმილი პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს და განსაზღვრავს მათი დაფინანსების მოცულობებს, შესაბამისად, წარმოდგენილი კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ზეგავლენის შეფასებას. თითოეული მიმართულებით დაგეგმილი პოლიტიკის გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ზეგავლენა ფასდება ინდივიდუალურად.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები შესაბამისობაშია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზებთან. პროექტით განსაზღვრული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა